

## განმარტებითი ბარათი

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

პატიმრისათვის ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემის გამარტივება, ოპერატიული დარეგულირების მიზნით;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

პატიმრისთვის პაემნის უფლების მიცემის გამარტივება და მოსამართლის განტვირთვა. აღნიშნული საკითხი კანონით უნდა რეგულირდებოდეს გამომძიებლისა და პროკურორის მიერ, რომელიც არის გამოძიებაზე პროცესუალური ზედამხედველი და ხელმძღვანელი პირი; ამასთან ერთად მარტივდება პაემნის უფლების მიცემის მექანიზმი. ცვლილების შეტანით პატიმარს ექმნება მარტივი პირობა პაემნის უფლების მისაღებად;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი ფუნდამენტალური პრინციპია სს საქმის დროული, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების ჩატარება; ამ მიზნით კანონმდებლობით შემცირებული იქნა სს საქმეზე გამოძიებისა და პატიმრობის ვადა. საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა საქმიანობა მიმდინარეობს როგორც დატვირთულ რეჟიმში, აქედან გამომდინარე აღნიშნული ცვლილებით მარტივდება პატიმრის მიერ პაემნის მიღების უფლება და მოსამართლეს ეხსნება ზედმეტი ფუნქცია, რაც არ ეწინააღმდეგება პატიმრის ინტერესებს.

კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პატიმარს შეიძლება მიეცეს ხანმოკლე პაემნის უფლებანიმ პირადი ან სამართლებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რომელთა განხორციელებაც არ შეიძლება მესამე პირთა მეშვეობით. პატიმრის ხანმოკლე პაემნის უფლებას იძლევა გამომძიებელი და პროკურორი“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი

დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოწვევს სახელმწიფოსათვის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ აუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

*ე. ეიჭუა*

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტი შემუშავდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი